ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N128/გ

ქ. მცხეთა

02 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორე მხრივ, სს „ქებული კლიმატი, წარმოდგენილი მისი ტექნიკური სერვისის ხელმძღვანელის გოჩა ქომეთიანის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართში (ინვოისი) მოცემული გაზის სანთურისა და მონტაჟის მომსახურების შესყიდვა (CPV44600000).

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 პროდუქციის მიწოდებისა და მომსახურების შესრულების ვადაა 15 კალენდარული დღე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან;

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 4863.59 (ოთხიათასრვაასსამოცდასამი ლარი და ორმოცდაცხრამეტი თეთრი).

3 . ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 05 სამუშაო დღის ვადაში.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;

4.1.1 შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. გარანტია

მიმწოდებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა რომ:

5.1 მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი.

5.2 ექსპლუატაციის პირობების დაცვის შემთხვევაში შესრულებულ სამუშაოზე იძლევა ერთ წლიან გარანტიას, რომლის ვადის ათვლა იწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5.3 იმ შემთხვევაში თუ საგარანტიო 1 წლის ვადაში გამოვლენილი იქნება სამუშაოს შესრულებაზე წუნი, შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ, ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დაადგინოს წუნის გამომწვევის მიზეზი. იმ შემთხვევაში თუ შესრულებული სამუშაოს გაუმართაობა გამოწვეულია ქარხნული წუნის გამო, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით, 10 სამუშაო დღეში აღმოფხვრას გაუმართაობა.

5.4 საგარანტიო პირობები არ მოქმედებს თუ ნაკლი გამოწვეულია შემსყიდველის ბრალით, მათ შორის პროდუქციის არასწორი ექსპლუატაციით;

5.5 გარანტიის მოქმედების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის სრულად გადახდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ ტექნიკური განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გია ბროძელი.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"

სს „ქებული კლიმატი"
ს/კოდი: 202283242
ბანკი: „პროკრედიტ ბანკი"
ბ/კ MIBGGE22
ა/ა GE41PC0223600100005176
ტელ: 595 71 00 28

მის: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. N40
ტექნიკური სერვისის ხელმძღვანელი

ხელმძღვანელი

გ. ქომეთიანი

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 236098824
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბ.კ TRESGE22

ა/N GE24NB0330100200165022

მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

ზ. აბესაძე